ფასი 800.000 მან. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

განათლების მოამაგე

ა(ა)ს(ს)რ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-ნუზეუმი Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили Академия наук

ქუთაისის სამაზრო განათლების განყოფილების

ყოველ თვიური პედაგოგიური ჟურნალი

№ 6 | 2 ოქტომბერისთვე 1923 წ. | რედაქციის მისამართი: ქ. ქუთაისი, განათლების განყოფილება | № 6

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ახალი სკოლისაკენ—**კარპ. ბერიძე**
2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი და მათი სამსახური კაცობრიობისათვის—**ვლ. ჩხენკელი**
3. ესტეტიური აღზრდა—**ტრ. ჯაფარიძე**
4. ახალი გზები სწავლა—აღზრდის საქმეში—**ნო—ვა**
5. „მოყვარეს პირში უძრავენ, მტერს პირს უკანა"—**ნინო ნადირაძე**
6. გრაფიული ხელოვნება—**იას. გელაზანია**

ახალი სკოლისაკენ

ჩვენმა სკოლამ რევოლიციის ყველა უსაშინელებანი გადაიტანა; უყურადღებობა, საშვალების უქონლობა, სწავლის ხშირ-ხშირად შეწყვეტა, უბინაობა, მასწავლებელთა ეკონომიური დაქვეითება და სხვა ბევრი უარყოფითი მხარეები, რომელნიც თან სდევდა განმათავისუფლებელ რევოლიუციას. მაგრამ ყველა ეს შევიწროებანი და დაბრკოლებანი, რომელნიც რევოლიუციამ უნებურად ჩვენს სკოლას მიაყენა, გამოყიდული იქნა ადზრდის მოძველებული პრინციპების უარყოფითა და სკოლის ახალი იდეის წამოყენებით. მართალია, ახალი სკოლის სასარგებლო მოძრაობა, ბუნებრივი აღზრდის ახალი გზები რევოლიუციონური აღმშენობლობის პროცესში არ შექმნილა, მას კარგახნის ისტორია აქვს ევროპასა და რუსეთში, მაგრამ რევოლიუციამ მას ფართო სარბიელი მისცა და დაბრკოლებათა და შევიწროების ნაცვლად, როგორც ეს სხვა და სხვა წესწყობილების დროს ხდებოდა და ხდება, მას მთელი არსებითა და შეძლებით დახმარება და მფარველობა აღმოუჩინა და აღუთქვა. რევოლიუციამ ფართო გზა გაუხსნა ახალ პედაგოგიურ აზროვნებას და ამის დამამტკიცებელი არ არის განა ის, რომ ამ ხუთი წლის განმავლობაში რაც რუსეთში პედაგოგიურ დარგში გაკეთდა, არსად არ გაკეთებულა დროის ასე მოკლე ინტერვალში.

„სწავლების შრომითი პრინციპი" დღეს რუსეთში თეორეტიულათ თითქმის ჩამოყალიბებულია და მის პრაკტიკულათ ხორც შესასხმელათ რუსეთის მცირე და მნიშვნელოვან ცენტრებში მოფენილ საცდელ—სანიმუშო დაწესებულებებში პედაგოგ—პიონები, ჯერჯერობით მშიერ ტიტველნი, გაფაციცებით იღწვიან.

მართალია, ძნელია სახელმწიფოს დღევანდელ მძიმე ეკონომიურ პირობებში **მასიური შრომის შკოლის** შექმნა, შკოლის, რომელიც გაცილებით შეძლებულმა ევროპა-ამერიკამაც ვერ შექმნა, მაგრამ არსებული პედაგოგიური



ინაციური დაჭიმულობა სრუ-
ავსებს, რომ ჩვენს ნახევრად
ილ შკოლებში სულ მოკლე
ქმედიანობის შკოლის იდეები
ომის შკოლის შესაქმნელათ
ერი მხარისა საჭიროა საზო-
ა, არსებული ხელისუფლების
იანხმობა, (რაც ევროპასა და
ა და რაც უმთავრეს მიზეზათ
ჩემი აზრით, იქ შრომის შკო-
გატარების დაგვიანებისა).

ომის შკოლის განხორციე-
ლებას უმთავრესად მატერიალური მხარე და მასწავლებელთა მოუმზადებლობა უშლის ხელს. პრინციპიალურათ ამ შკოლის საქმის საჭიროებაში ორი აზრი არ არსებობს; ამიტომ, თუ ჯერჯერობით სავსებით ვერ შევსძლებთ, უკვე ნახსენები მიზეზების გამო, დასახული მიზნების სავსებით განხორციელებას, ჩვენი გაასკეცებული ენერგია ნაწილობრივ მაინც შესძლებს შეიტანოს ჩვენს შკოლაში **აქტივობის, მოტორული ელემენტები**, როგორც ამას ახალი შკოლის პრინციპები მოითხოვს, რადგან ჩვენს მასწავლებლობას კარგათ შეგნებული აქვს, რომ ძველი, უმოქმედო შკოლა სადათ მოაზროვნე პედაგოგებისა და საზოგადოების მიერ უკვე გაკიცხულია და ახალი შკოლის შენებაზე ხელის აღებაზე, ასეთ უაზრობაზე, ის არასოდეს არ დასთანხმდება.

მასწავლებლობამ კარგათ იცის, რომ ახალი შკოლის შექმნა ერთობ მძიმე და საპასუხისმგებლო საქმეა, ამიტომ ამ მიმართულებით ყოველი მისი გადადგმული ნაბიჯი მრავალჯერ აწონილ-დაწონილი და შემოწმებული იქნება, თორემ, შეიძლება, მისი არა სწორი გაგებით ამ საყვარელ საქმეს სარგებლობის მაგიერ ზიანი მიუტანოთ. ამიტომ ჩვენ ფრთხილათ, დაუჩქარებლათ და ენერგიით აღსავსე შეუდგების ამ საქმეს.

სწავლების შრომითი პრინციპის ერთი ხელის დაკვრით გატარება შეუძლებელია; მას საკმაო ხნის მოსამზადებელი ისტორია აქვს; ის ასე მზამზარეულათ არ გაჩენილა, მას მრავალი აზრი და გონება შეეწირა. ის შედეგია შედარებით მრავალ იდეათა და მეთოდების განვითარებისა, რომელნიც ნიადაგს უმზადებდენ დღევანდელი შკოლის იდეას.

შევეხოთ გაკვრით სწავლების უმთავრესი მეთოდების ევოლიუციას. ეჭვს გარეშეა, რომ ყოველი საზოგადოებრივი წესწყობილება თავისებურ მოთხოვნილებას უყენებს შკოლას და რომელიმე პრინციპის განხორციელება მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც საზოგადოების შეხედულება ამ პრინციპზე დადებითია. და ამ მიზნით თუ შევადარებთ ძველსა და ახალ საზოგადოებას, წესწყობილებას, ნათლად დავინახავთ, რომ ძველ შკოლას უნდა აღეზარდა უმოქმედო, საკუთარი აზრისა და ინიციატივის არა მქონე, პასიური, არსებული წესწყობილების ყურმოჭრილი მონა-„ჩინოვნიკი“. ძველი შკოლა მხოლოდ ცალმხრივათ განვითარებულ პიროვნებას ზრდიდა, მშრომელი ხალხის სიძულვილით აღსავსეს, რადგან ჰიროვნების ყოველმხრივი განვითარება არსებულ წესწყობილებას დანგრევით ემუქრებოდა.

დღეს კი საჭიროა ცხოვრების ყოველმხრივი მცოდნე პიროვნება, აქტიური, აღმოჩენისა და ძიებითი ინტერესებით აღჭურვილი-აღმშენებელი. მაშასადამე, ახალმა შკოლამ ყოველი მხრით უნდა განავითაროს ბავშის სულიერი ძალები, მან ჰარმონიულათ განვითარებული პიროვნება უნდა მოგვცეს. ამას კი მაშინ შესძლებს შკოლა, როცა მას ეყოლება აღზრდის ახალი მეთოდებითა და იდეებით გამსჭვალულნი განათლების მუშაკნი. მხოლოდ მაშინ შეიძლება, რომ აქტიურმა, მატორუმა შკოლამ პასიური, სიტყვიერ-წიგნური შკოლა შესცვალოს.

მოვიგონოთ ახლა გაკვრით, როგორი საფეხურებით მოვიდა ამ დასკვნამდი პედაგოგიური აზროვნება. დავიწყოთ შედარებით ბოლო ხანებიდან, რადგან მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ხდება ამ აზროვნებაში ჩქარი ხასიათის გარდატეხანი და ძველათ კი ერთი და იგივე პედაგოგიური აზრი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში შეურყეველათ მფლობელობდა. მე უმთავრესათ შევეხები ამ აზროვნების ცვალებადობის გავლენას მათემატიკასა და ნაწილობრივ ბუნების მეტყველებაზე.

მე-XIX საუკუნის ნახევრამდი ყველგან, ზოგან მის შემდეგაც და დღესაც, მეფობდა სწავლებაში (უმთავრესათ მათემატიკაში) აბსტრაკტულ-ინდუქტიური მეთოდი. ბუნების მეტყველება კი ხანდახან ამოტივტივდებოდა სასწავლო გეგმის ზედაპირზე, ხან კი, როგორც „საშიში“ საგანი, შკოლიდან სავსებით იდევნებოდა პირველათ რუსეთში ბუნების მეტყველება ეკატერინე II მეფობის დროს იქნა შე-

მოღებული (1786 წ.) და საყოველთაოთ აღწერითი-სისტემატიური მეთოდი იყო გამეფებული. ამასთანავე ბუნების მეტყველების სწავლება ისეთ ჩარჩოებში იყო ჩასმული, რომ სულიერ მამათა მოძღვრებისათვის ხელი არ შეეშალა. ამ პერიოდმა ნიკოლოზ I მეფობამდი გასტანა. დეკემბრის აჯანყების შემდეგ სრულიად განიდევნა შკოლიდან (1828 წ.). ბუნების მეტყველებას მხოლოდ უტილიტარულ მნიშვნელობას აძლევდენ; სთვლიდენ მას ისეთ საგნათ, რომელიც რამდენიმე საჭირო ცნობებს იძლეოდა საოჯახო საქმეებისათვის, ხოლო მის ფორმალურ განმანათლებელ მნიშვნელობაზე ფიქრიც არ იყო.

რაც შეეხება მათემატიკას, მას საუკეთესო საშვალებათ სთვლიდენ მოსწავლეთა ფორმალური გონებრივი განვითარებისათვის და ამ მიზნით საუკეთესო საშვალებათ დედუქტიური მეთოდის გამოყენებას სთვლიდენ. თვით მათემათიკის „უტყუარობას“ ამ მეთოდის ხმარებით ხსნიდენ. ხსენებულ მეთოდს, ცხადია, ბევრი დადებითი მხარეები აქვს. მათემათიკის ლოლიკური სწავლება ანვითარებს სწორი მსჯელობის ნიჭს, რადგან მასში ერთობ ბევრია ღწური ხასიათის მსჯელობის მასალები. ეს მეთოდი დროის დიდ ეკონომიას იძლევა, ანვითარებს განყენებისა და განზოგადოების ნიჭსა და მიდრეკილებას.

კიდევ რამდენი დადებითი მხარეები შეიძლება ჩამოვთვალოთ ამ მეთოდისა, მაგრამ ჩვენი განძრახვა სრულიად არ არის ამ მეთოდის უვარგისობა დავამტკიცოთ, არამედ უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს მეთოდი ისეთი ასაკისათვის იხმარებოდა, რომ, მიუხედავათ მისი ამდენი დადებითი მხარეებისა, მოსწავლეთათვის მხოლოდ ზიანი მოჰქონდა და მეტი არაფერი. როგორც ცნობილია, აბსტრაკტულ-დედუქტიური მეთოდი სავსებით ტარდება ევკლიდის გეომეტრიაში. ყველა ჭეშმარიტება სისტემატიური წესით ისწავლება და ეს ჭეშმარიტებანი ლოგიკური დასკვნათა საშვალებით გამოყავთ ისეთი განსაზღვრებებიდან ჲ ძირითადი დებულებათაგან, რომელნიც დაუმტკიცებლათაა მიღებული და რომელთა რიცხვი ცდილობენ ძალიან შეამციროონ. ასეთი მეთოდით მეცადინეობა კი ხშირად ლექციურ ხასიათს ღებულობს, მოსწავლემ უცვლელათ უნდა შეითვისოს მასწავლებლის ნათქვამი, ხოლო მოსწავლის ვარჯიშობას ერთობ მცირე ადგილი ეთმობა.

გეომეტრიის ასეთი მეთოდის სწავლების უტყუარობის დარღვევა ლობაჩევსკის უნდა მივაწეროთ. მან დაამტკიცა, რომ ევკლიდის გეომეტრიის ჭეშკარიტებათა ემპირიული უტყუარობა შედეგია არა მათი დედუქტიური გზით მიღებისა, არამედ იმისა, რომ თავისი გამოსავალი ძირითადი აქსიომები რეალობიდანაა აღებული და საერთოდ თითოეული მათემატიკური მეცნიერების შინაარსი დამოკიდებულია არა მისი მიღების მეთოდზე, არამედ მის გამოსავალ აქსიომებზე. ამგვარად, „დედუქტიურ მეთოდს აქვს არა აბსოლიუტური, არამედ მხოლოდ შედარებითი ღირებულობა მათემატიკურ ჭეშმარიტებათა გამოყვანის დროს“.

ამ მეთოდის აწონ-დაწონას მოყვა მისდამი კრიტიკული დამოკიდებულება. ცხადყვეს, რომ ამ მეთოდის ხმარების გამო მოსწავლეთა მიერ მასალის შეთვისება ერთობ ნაძალადევი და არა ორგანიულია. მათემატიკის შინაარსი ერთობ მშრალი, განყენებული და მოწაფეთათვის გაუგებარი ხდება. პირველი საფეხურის ასაკში მოსწავლეს „თავისი ასაკისა და განვითარების მიხედვით არამც თუ არ შეუძლია შეაფასოს მათემატიკური მსჯელობის ლოგიკური ზედმიწევნილობა, არამედ ხშირად მისი რაობის გაგებაც არ შეუძლია“. მოსწავრე სწავლობს და არ ესმისო „ეს კი ეწინააღმდეგება ძირითად პედაგოგიურ პრინციპს აქტიური გონებრივი თვითმოქმედების შესახებ“.

აბსტრაკტულ-დედუქტიური მეთოდის ხმარების დროს სავსებით მივიწყებულია ადამიანის სულის ერთ-ერთი უმთავრეს ნიჭი—ინტუიცია, ე. ი. „ნიჭი ჭეშმარიტებათა უშუალო გაგებისა ლოგიკურ მსჯელობათა და დამტკიცებათა გარეშე“.

ამ მოსაზრებამ გზა გაუხსნა ე. წ. სწავლების კონკრეტულ-ინდუქტიურ მეთოდს. ეს მეთოდი საუკეთესოთაა მიჩნეული ბუნების შესწავლისა და მათემატიკურ ცოდნათა შეძენის საქმეში. ეს მეთოდი, როგორც ცნობილია, იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი კერძო ფაქტების დაკვირვებიდან, რომელნიც ჩვენს გაგებას შეესაბამება, გადავდივართ საერთო ჭეშმარიტებათა და კანონების შემეცნებაზე. ამ მეთოდმა მხოლოდ მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მოიკიდა ფეხი სწავლების საქმეში. ის სავსებით შეესაბამება ბავშვის ბუნებრივ მისწრაფებას—კონკრეტულიდან აბსტრაკტულზე გადასვლისა.

მაგრამ პედაგოგიური აზროვნება ამით არ

დაკმაყოფილდება. ამასთან ერთად მან თვალსაჩინოობის პრინციპი წამოაყენა. საგნებისა და საერთოთ ბუნების ობიექტთა კონკრეტული შესწავლა მოითხოვდა თვალსაჩინო მასალათა ხმარებას და სწავლებაში ცოცხალი ელემენტის შეტანას.

ამ მეთოდის შემოღებამ სამარე გაუთხარა სწავლების სქოლასტიურ მეთოდს, მოსწავლეთა უმოძრობის ტრადიციებს და სავსებით გაანათა შკოლის ახალი მომავალი — მოსწავლეთა თვითმოქმედება, შრომითი პრინციპები. შკოლის ცხოვრებაში უკვე წამოიჭრა სწავლების ახალი მეთოდი — ლაბორატორული მეთოდი. ეს ერთ დიდ ნაბიჯათ უნდა ჩაითვალოს სწავლების საქმეში, რადგან თვალსაჩინოობა სავსებით არ ამოწურავდა მოსწავლეთა თვითმოქმედების საკითხს და ხშირად ეს თვალსაჩინოობა მასწავლებლის მიერ მოხდენილი დემონსტრაციებით თავდებოდა ლაბორატორიული მეთოდი კი ფართო სარბიელს აძლევს მოსწავლეთა ნიჭსა და თვითმოქმედებას. ის მარტო კი არ იხილავს ხოლმე მასწავლებლის ნაჩვენებს, არამედ თვით მონაწილეობს მის შექმნაში და ამ გვარად მასწავლებელთან ერთად მონაწილე ხდება შკოლის მუშაობაში. ამ გვარად, კლასი ლაბორატორიას წარმოადგენს, სადაც პაწია „მეცნიერნი“ ცხოვრებას სწავლობენ.

მაგრამ ცხოვრების ამგვარი შესწავლა არ აკმაყოფილებს თანამედროვე პედაგოგ პიონერებს. ისინი მოითხოვენ ლაბორატორიის ბუნების წიაღში გადატანას. სასწავლო მასალათა ხელოვნური დამზადების ნაცვლათ თხოულობენ თვით ბუნების ნაბოეძბით სარგებლობას და ადამიანის ქმნილებითა უშუალო შესწავლას. ამგვარად, გაბატონებას აპირობს ახალი პედაგოგიური პრინციპი — სწავლების შრომითი პრინციპი; ის თხოულობს, რომ შკოლა, რომელიც აქამდი ცხოვრებიდან გარიყული იყო, ცხოვრებას უნდა დაუახლოვდეს, კიდევ მეტი, შკოლა თვით ცხოვრების მინიატიურა გახდეს.

ბუნების მეტყველება და მათემათიკას ბევრი რამ მოემატა ამ ახალი პრინციპის აღიარებით. ამ პირობებში ბუნების მეტყველება შესძლებს მოსწავლე შეიყვანოს ბუნების მართალ გაგებაში და თავი დააღწევიოს იმ ცრუ მორწმუნოებისაგან, რომელიც მას აქამდი ასე არეტიანებდა; მათემატიკა კი ნაცვლად განყენებული და გაუგებარი საგნისა, მოსწავლის საყვარელ, გასაგებ და გამოსადეგ საგნათ შეიქნება ამიტომ არის, რომ ამ მეთოდების განვითარებამ ამ საგნებზე ასე გამაცოცხლებელი გავლენა მოახდინა და, როგორც რაიკოვი ამბობს: „Педагоги натуралисты наиболее правильно поняли идею трудового обучения, уловив в ней многое, хорошо им известное и испробованное уже на опыте, в то время как представители других специальностей, в особенности, гуманисты, заблудились в этой области, а иные забрались, Бог знает, в какие дебри...“ შეიძლება, ეს სიტყვები გადაჭარბებულადაც იყოს ნათქვამი, „გზის აბნევაზე“ ლაპარაკი უსამართლობაც იყოს ნაწილობრივ, მაგრამ ამას ყველა ვგრძნობთ, რომ შრომითი პრინციპის გატარების დროს ბუნების მეტყველება და მათემატიკა სხვა საგნებს შორის საპატიო ადგილს დაიკავებს.

რა და რა ნიშნები ახასიათებს შრომის პრინციპს, შრომითი, მოქმედიანობის შკოლას? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია, რადგან სხვა და სხვა მიმართულებანი სხვადასხვა პასუხს იძლევიან ამ საკითხის შესახებ. მაგრამ მისი რომელი დამახასიათებელი ნიშანი არ უნდა ავიღოთ, ისინი ყველანი მოსწავლის აღზრდისა და სწავლების საქმეში დაუფასებლათ გამოსადეგია.

უპირველესათ ყოვლისა, შრომის პრინციპი მოითხოვს, რომ შკოლაში ერთი სიტყვაც არ იქნეს ნახმარი, რომელიც მოსწავლის რომელიმე მხარეს სარგებლობას არ მოუტანს, სწავლება არ უნდა აშორებდეს მოსწავლეს ცხოვრებიდან, პირიქით, სწავლება მისთვის თვით ცხოვრება უნდა იყოს, ცხოვრება ერთობ საყვარელი და მოუწყენელი. ცხოვრედიდან შკოლაში შესვლა პაწიასთვის შეუმჩნეველი უნდა იყოს და უკანასკნელმა მასში სასოწარკვეთილების გრძნობა არ უნდა გამოიწვიოს. აგრეთვე შკოლიდან ცხოვრებაში გადასვლისას ახალგაზრდამ არავითარი უხერხულობა არ უნდა იგრძნოს, ის ცხოვრებისათვის სავსებით მომზადებული უნდა იქნეს. როდის შეიძლებს ეს მოხდეს? მაშინ:

1. როდესაც შკოლაში ცხოვრების ყველა ელემენტია შეტანილი, როდესაც შკოლა თვით ცხოვრებას წარმოადგენს.

2. როდესაც შკოლა ცხოვრებისათვის მომზადებულ ახალგაზრდას მოგვცემს. ეს კი მაშინ იქნება, როცა შკოლა შრომაზეა აგებული, რადგან შრომაა ცხოვრების საფუძველი, აგრეთვე შრომა უფრო მეტათ აკმა-

ყოფილებს ბავშის ბუნებას, მის ფსიქოლოგიურ ინტერესებს და მეტ გასაქანს აძლევს ნიჭსა და თავისებურობას. ის თვითგამორკვევის მეტ შესაძლებლობას იძლევა.

3. როდესაც უარყოფილი იქნება ჩვეული სისტემატიზაცია შკოლის პირველ საფეხურზე, რომელიც კერძო მეცნიერებათა სპეციფიურ მხარეს შეადგენს და ბავშის ბუნებას არ ეგუება, ბავშისთვის გაუგებარია. მის ნაცვლათ სასწავლო საგანთა შედუღებამთლიანობა. სასწავლო საგანთა შეკავშირებას საფუძველათ უნდა დაედვას სხვა და სხვა დარგის ბუნებრივი ურთიერთობა, ბავშის ინტერესი და განვითარება.

4. როდესაც ფართოდ გამოყენებული იქნება ბავშის სულის ყველა მხარეები: ცდის, დაკვირვების, ძიების, აღმოჩენის სურვილისა და სხვ.

5. როდესაც გაღრმავებული და ყოველი მხრით გამოყენებული იქნება კოლექტიურ-ჯგუფური მუშაობა.

დასასრულ, გაუგებრობის თავიდან ასაშორებლათ უნდა ვსთქვათ, რომ შკოლისა და ცხოვრების ორგანიული კავშირი, ცხადია, მოითხოვს შკოლაში უმთავრესად იმ დარგის შეტანას, რომელიც ადგილობრივათ მეტათ განვითარებულია. საქართველო სასოფლო-სამეურნეობასთან უნდა იქნეს უმთავრესათ დაკავშირებული. შკოლის საერთო განათლების მასალა ადგილობრივი ცხოვრებიდან უნდა ავიღოთ და, თუ ეს ასეა, ცხადია, ამ მასალაში სასოფლო-მეურნეობის დარგის მასალა მეტი იქნება; ეს კი მოითხოვს, რომ მასწავლებელს შესწავლილი ქონდეს ამ რაიონის მეურნეობა, რომ მან ამ დარგიდან ლაბორატორიული მუშაობა შესძლოს. საჭირო იქნება ბოსტნის, ბაღის და სხვ. გაშენება, მაგრამ გარკვევით უნდა გვახსოვდეს, **რომ ამათ მხოლოდ და მხოლოდ სასწავლო სააღმზდელო მიზანი უნდა ექნეს და არა უტილიტარული ხასიათი.**

ჩვენი მოსწავლისათვის ყანის თოხნა ახალი რამ არ არის; მას ის სახლიშიც მოწყენილი აქვს. ყოველგვარი ზომა უნდა მივიღოთ, **რომ შრომითი სწავლებამ პროფესიონალური ხასიათი არ მიიღოს,** რაც სრულიად არ შეეფება შკოლის პედაგოგიურ მიზნებს და არც მოსწავლეთა ბუნებისადმი შეგნებულ დამოკიდებულების მიღწევას.

ამ შემთხვევაში სწავლება ყოველთვის წინასწარ მოფიქრებული გეგმით უნდა სწარმოებდეს.

ცხადია, მასწავლებლებისათვის, მით უმეტეს ჩვენთვის, რომელნიც მხოლოდ ახლა ვეცნობით შრომითი შკოლის პრინციპებს, ერთობ ძნელი იქნება ამ მოთხოვნილების შესრულება. დიდი შრომის და ენერგიის დახარჯვა იქნება საჭირო მაგრამ, მხოლოდ ამ გზით შეიძლება თავი დავაღწიოთ იმ სიტყვიერ-წიგნურ მეთოდებს, რომელნიც იძლევიან ცხოვრებისათვის უსუსურ ნასწავლებს და შევქნათ ახალი შკოლა, რომელიც მოგვცემს ჰარმონიულათ დამუშავებულს და, ცხოვრებისათვის გამოსადეგ, საღ ადამიანს.

ამიტომ არ უნდა დავზოგოთ ჩვენი ძალი და ღონე, **რომ გზა გაუკაფოთ ახალს, შრომა-აქტივობის შკოლას და ის მასიურ შკოლად გავხადოთ.**

კარპეზ ბერიძე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი და მათი სამსახური პასპორტიზაციისათვის.

ადამიანის ტვინის სხვადასხვა გვარი მოქმედებანთა შორის არც ერთი არ არის ისეთი სიღრმით და სიგანით ადამიანის ცხოვრების შემპყრობი, როგორც მის მიერ შექმნილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი. ისინი იძლევიან საფუძველს ბუნების ძალების გამოყენებისას ადამიანის მოთხოვნილებისათვის, სდგამენ ქვაკუთხედს მსოფლმხედველობისას და ჰქმნიან ჩვეულებებს, რომელთაც უაღრესი კულტურული ღირებულება აქვთ. ეს მეცნიერებანი არიან, რომელთა საშვალებით ადამიანი ბუნების ძალებს იმორჩილებს და თავის საჭიროებისათვის ამუშავებს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერების სამსახურის წარმოება მჭიდროთ შეკავშირებულია ხალხთა ეკონომიური ცხოვრების ძირითადი ძალების—**ენერგიის წყაროების** გამოყენებასთან, რომელნიც ამ ჟამად ადამიანს ემორჩილებიან. ამ კავშირის ახსნა და განხილვა მოგვცემს ჩვენ მასალას შესახებ იმისა, თუ როგორი მნიშვნე-

ლობა აქვთ ხსენებულ მეცნიერებანს კაცობრიობის კულტურული ზრდისათვის.

რადგანაც ენერგია წარმოადგენს იმ ფაქტორს, რომელიც უწევს სამსახურს კაცობრიობას, ჩვენ-კი ბუნებრივი ენერგიები გვაინტერესებენ, ამისათვის დასმული საკითხის განხილვის დროს, ჩვენ გამოვრიცხოთ ისეთი ენერგია, რომელიც ყველა ხალხისთვის და ყოველ დროში ჩვეულებრივია, როგორიცაა, მაგალითად, ადამიანის და ცხოველების ენერგია. ეს ენერგია ბუნების ძალას არ წარმოადგენს.

მრავალგვარია ენერგია, მაგრამ ყველას ერთნაირი ღირებულება როდი აქვს. ენერგიის წყაროს ღირებულება ერთგვარი პირობებით განისაზღვრება. ასე, ის ისაზღვრება—პირველი **მოძრაობის თვისებებით**, რამდენათ მოსახერხებელია მისი ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადატანა;

მეორე—**მისი მოქნილობით და იმით, თუ რამდენათ ემორჩილება ადამიანის გონებას სხვა და სხვა გვარი მექანიზმებში:**

მესამე—**მისი მყარობით, უცვლელობით,** სარგებლობის დროს შემთხვევითი შესწყვეტის უადგილობით—და

მეოთხე—**მისი ძლიერებით.**

უძველეს დროში ენერგიის წყაროები, რომლითაც ადამიანი სარგებლობდა, ძალიან ცოტა იყო, სახელდობრ: **წყლის ძალა, ქარის ძალა** და **მონობა.**

დედამიწაზე წყლის ძალა ენერგიის უდიდეს და უმნიშვნელეს წყაროს წარმოადგენს, მაგრამ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი უხერხულ ადგილებზეა მოთავსებული. ამ ძალის მომატებულათ გამოყენება შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ ჩვენს დროში, როდესაც აღმოჩენილია ძალის ელექტროული გარდაცემა, ასეთი გარდაცემით წყლის მასის ძლიერების ამოძრავება, ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გარდატანა მოხერხდა.

წყლის მამოძრავებელი ძველ დროში ნაკლებათ გავრცელებული იყო, წყლის ვარდნა არ იყო სათანადოთ დაფასებული, იარაღები ცუდათ აგებულნი იყვნენ და ამის გამო არ არის გასაკვირველი, რომ ისინი ვერ ვრცელდებოდენ და მანქანების ძალას სცვლიდა უფრო ნაყოფიერი და მისაწდომი ცხოველების და მონების ძალა და შრომა. ამნაირათ წყლის ძალით მოცემული ენერგიით ნაკლებათ სარგებლობდენ ძველ დროში და **ამ დროის ენერგიის წყაროებიდან წყლის ძალა (როგორც ენერგიის წყარო) უნდა გამოვრიცხოთ.**

გადავიდეთ **ქარის ძალაზე.** ძველ დროში ქარი ხმელეთზე, როგორც ენერგიის წყარო, როგორც მამოძრავებელი ძალის მომცემი არ იყო ცნობილი. ქარის წისქვილები უცნობი იყო როგორც აზიის ძველი მცხოვრებთათვის, აგრეთვე ძველი საბერძნეთის და რომის ხალხებისათვის. ძველი წისქვილების ნაშთები არც ერთ ამ ქვეყნებში არ არის ნახული და აღმოჩენილი. სად სარგებლობდენ მაშინ ქარის ძალით? ამ ძალით იმ ჟამადრა დროს სარგებლობდენ მხოლოდ წყალზე, მდინარეებზე და ზღვებზე. უნდა აღინიშნოს ამ ძალის გამოყენების შემთხვევითი ხასიათი და ძველი ცურვაობის, ნავოსნობის თავისებურობა. მაშინ, როგორც ვიცით, ნავოსნობა ხდებოდა ნაპირების მახლობლათ და ისიც მხოლოდ დღისით, ღამით კი ცურვაობა სწყდებოდა და ნავები ხმელეთზე ამოჰქონდათ. ამის გამო საცურავ იარაღებზე ნიჩბები და ადამიანის შრომა იყო საჭირო. ვაჭრების ხომალდების გარდა, რომლებზეც სამ რიგათ მოწყობილი ჰქონდათ ნიჩბები, ძველი დროის ვეებერთელა ხომალდებს, მაგალითად გერონ სირაკუზელის ხომალდებს (2700 ტონა წყალთმცველობიანები), სამ-სამი ანძი და ოცოცი წყებათ მოწყობილი ნიჩბები ჰქონდათ.

ამნაირათ ძველ დროში ქარის ძალაც საკმარისათ არ იყო გამოყენებული და დაფასებული, ამის გამო მასაც არ აქვს დიდი მნიშვნელობა და მასაც ნუ მივაქცევთ ყურადღებას.

მაშინ გვაქვს, რომ ძველი დროის ეკონომიური წინმსვლელობის საძირკველი **მონების ენერგია** არის. აი რა არის ძველი დროის უმთავრესი და თითქმის ერთად ერთი ენერგიის წყარო! რა წარმოადგენს მაშინდელ მანქანას? ამ დროს პროგრესი უმონოთ წარმოუდგენელი მიაჩნდათ.

როგორი ენერგია შეუძლია მოგვცეს ადამიანი—მანქანამ?

შევჩერდეთ საშუალო ძალის ადამიანზე.

ადამიანის მიერ მიღებული საკვები მასალა დღის განმავლობაში აჩენს სხეულში 3000-დან 4000-მდე დიდ კალორიას, რაც ეკვივალენტია თითქმის 1.500.000 კილოგრამმეტრისა. თავისუფალ ადამიანის **10 საათიან სამუშაო დღეში** შეუძლია შეჰქმნას **290.000 კილოგრამმეტრი** რაც უდრის 8 **კილოგრამმეტრს წუთში** ანუ $^1/_{10}$ **ცხენის ძალას.** ცხენის ძალა-კი ისეთი ერ-

თეულია, რომლებშიაც ახლანდელი ტეხნიკა მამოძრავებელი იარაღების სიძლიერეს ზომავს. თუ მივიღებთ, რომ ნაყოფიერი მოქმედება ანუ ეკონომიური კოეფიციენტი ადამიანი—მანქანისა უდრის შეფარდებას გაწეული შრომის და დახარჯულ ენერგიისა, გვექნება $\frac{290.000 \text{ კლ.მ}}{1.500.000 \text{ კლ.მ}} = 19$ ანუ ადამიანის **შრომის ნაყოფიერება 19% უდრის.**

დღევანდელი საუკეთესო მანქანების ნაყოფიერი მოქმედება 19% უდრის. ისე, რომ უძველესი და ახლანდელი დრო ამ შემთხვევაში ერთი დონეზე დგანან. მაგრამ მეცნიერებით დადგენილი ადამიანის და მანქანისათვის ნორმა მონისათვის არა საკმარისათ ითვლება და მისგან რაც შეიძლება მეტი ნაყოფიერ მოქმედებას ღებულობდენ, ძველი დროის ენერგია და მისი კანონები მეცნიერების საგანს არ შეადგენდა, არამედ ის იყო ძალდატანების საგანი. მეტი ძალდატანება მონაზე—მეტი შრომის ნაყოფიერებას იძლევოდა. ამის გამო არ არის გასაკვირველი, რომ **ძველი ფიზიკა არ სწავლობდა დღევანდელი ფიზიკის მთავარი საგანს—ენერგიას.** ეს იყო ისეთი დრო, როდესაც ადამიანი არ ფიქრობდა ენერგიის მარაგის შემცირებაზე (ეს მისთვის წარმოუდგენელიც იყო) და შემდეგში მისი სრული განადგურებაზე,—საკითხზე, რომელიც ასე აწუხებს ახლა კაცობრიობას. მონებს ხომ განუწყვეტლივ აჩენდა ბუნება და ომი.

მონები იძლევოდენ ენერგიას.

მაგრამ მონობა მოისპო. რამ მოსპო ის? მობრუნდება თუ არა ხელახლა მონობა დედამიწაზე?

პასუხს ამ სიტყვებზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი მოგვცემენ. ამ ჟამათ მუშაობის სიძლიერეს ერთეულათ ცხენის ძალაა მიღებული. ეს ის ძალაა, რომელსაც შეუძლია ერთი წუთის განმავლობაში 75 კილოგრამი ერთი მეტრის სიმაღლეზე აწიოს ანუ დაახლოვებით 15 ფუთი ერთი ფუტის (фут) სიმაღლეზე. შევცვალოთ ეს ერთეული ძველი დროის საზომით ანუ მონის საზომით.

როგორც ზევით ვსთქვი, ერთი მონას ერთი წუთში შეუძლია $\frac{1}{10}$ ცხენის ძალა მოგვცეს ე. ი. **ერთი წუთში 10 მონა ერთი ცხენის ძალას იძლევიან.**

სირაკუზის ვეება ხომალდები 2.700 ტონა წყალთმცველობის, სამ ანძიანი და 20 რიგი ჩინჩებიანი იყვნენ. ამ ხომალდებს მონები ამოძრავებდენ. ახლანდელი დიდი გემი $\frac{1}{4}$ ვერსის სიგრძისა, 65.000 ტონა წყალთმცველობა აქვს, მანქანები-კი მისი 70.000 ცხენის ძალისაა, ღებულობს 4.100 მგზავრს და მაზე მსახურობს 1.100 კაცი. თუ ორთქლის ძალა მონებით შეცვლა მოვინდომეთ, მაშინ გემზე მარტო მოსამსახურეების რიცხვი 700.000 ადამიანს აღემატება. მაგრამ ადამიანის ხელის ენერგიას არ აქვს მანქანების ენერგიის მოქნილობა და სისწრაფე ძალების გარდაქმნაში, და თუ მოვინდომებდით ამ პირობის შესრულებას, მაშინ კიდევ არა ნაკლები 700.000 კაცისა დაგვჭირდებოდა. ასე, ახლანდელი გემის ასამოძრავებლათ საჭირო იქნებოდა 1.400.000 კაცი. დაუმატეთ ამას მგზავრების რიცხვი, მთავრობა, რომელიც უსათუოდ საჭირო იქნება, საწყობები საკვები მასალების და სხვების და მიიღებთ, რომ გემი კი არა, რაღაცა უზარმაზარი შენობა უნდა იყვეს, რომელსაც თავისი მოსახლეობა მოძრაობაში ვერ მოიყვანდა ვერასგზით. ერთი სიტყვით **ახლანდელი ტეხნიკის ამოცანები მკვდარი ბუნების ძალების დაუხმარებლათ არ გამოიყვანებიან.**

ახლა წარმოიდგინეთ, რომ გაცოცხლდა ძველი დროის მეცნიერი. მან დაინახა 3.000 ან 4.000 ცხენის ძალიანი მალეტის ლოკომოტივი და მოინდომა მისი ძალის გაგება. როგორ უნდა მოიქცეს ახლანდელი ინჟინერი, რომ კითხვაზე მეცნიერს გასაგები პასუხი მისცეს? ძველი მეცნიერმა რომ გაიგოს ინჟინერი ეტყვის: აი მანქანა, რომელსაც 30.000 მონა ექსპრესის სისწრაფით ამოძრავებს. მეცნიერი განცვიფრებაში მოვა, მაგრამ მისი გაკვირვებას არ ექნება საზღვარი, თუ მას ჩვენ ვაჩვენებთ მდ. ზამბეზის ჩანჩქერი ბიქტორიის ნაპირზე მოწყობილ ელექტრიულ გარდამცემი მანქანების პროექტს, რომლებიც 1.100 კილომეტრის მანძილზე ტრანსვაალში და ფატალში 250.000 ცხენის ძალას გზავნიან. პროექტზე ინჟინერი ძველი მეცნიერს აჩვენებს მავთულს, რომლის საშვალებით წარმოუდგენელ სისწრაფით 1000 ვერსის მინძილზე $2\frac{1}{2}$ მილიონი მონა გადადის ყოველგვარი საკვებავი მასალით, რომელიც მათი შრომისათვის საჭიროა.

ასეთი საუბრის დროს არაა გასაკვირველი, რომ ძველმა მეცნიერმა წამოიძახოს აღშფოთებით, (რადგანაც ის ამას ჭეშმარიტების ეაცინვათ მიიღებს): ეს გონების აჯანყებაა, რომელ-

საც ყოველგვარი გონიერების და სიცხადეს საზღვრები გადულახავს.

მართლაც — ბუნებისმეტყველების გონება ძველი დროის დამშვიდებულ გონების სამსჯავროს წინაშე აზრის ამბოხებაა!

კიდევ ცოტა მაგალითი გონების ამბოხებისა.

მექანიკური ენერგია, რომელსაც ახლა ქარხნებში ღებულობენ დაახლოვებით **225.000.000 ცხენის ძალას ანუ $2^1/_4$ მილიარდ მონას უდრის** მაგრამ დედა მიწაზე $1^1/_2$ მილიარდი ადამიანი სცხოვრობს; ასე, რომ მთელი დედა მიწის მცხოვრებნი მონებათ რომ გარდავაქციოთ იმ ენერგიას ვერ მოგვცემენ, რომელსაც მანქანები გვაძლევენ. გეოგრაფები ამა თუ იმ ქვეყნის მცხოვრებთა რიცხვის გაგების დროს მონებსაც ითვლიან. ჩვენც ასე მოვიქცეთ.

ამისათვის დღესდღეობით კაცობრიობის რაოდენობა დედა მიწაზე $1^1/_2$ მილიარდი კი არა, არამედ $3^3/_4$ მილიარდია. (ამათ რიცხვში $2^1/_4$ მილიარდ ადამიანს მანქანების ძალა იძლევა).

თუ ადამიანს შევხედავთ როგორც მუშა ერთეულს, ეს ზედმიწევნით სწორი გამოანგარიშება იქნება.

მაშ ბუნებას მილიონი საუკუნეების განმავლობაში $1^1/_2$ მილიარდი ადამიანი გაუჩენია, **საბუნებისმეტყველო მეცნიერებანის ამბოხებულმა გონებამ ერთ ნახევარ საუკუნეში კაცობრიობას ორჯერ მეტი თანამშრომელი მისცა.**

ამის შემდეგ შეიძლება იმ მონობაზე ლაპარაკი? მონობა სამუდამოდ მოისპო. მეცნიერება მკვდარი ბუნების ძალებიდან ჰქმნის მონებს, რომლებიც იძლევიან უსაზღვრო ენერგიას.

აი როგორი სამსახურს უწევენ დღეს კაცობრიობას საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი.

როგორი იქნება მომავალში სამსახური?

ამის შესახებ შემდეგ.

ვლ. ჩხენკელი.

ესთეტიური აღზრდა

4.

წინა წერილებში დავინახეთ რომ ესთეტიური ნიჭი თანშობილია, ჩვენს ბუნებაში ის პოტენციალურად თავიდგანვე ჩასახულია, ის თანდათან ვითარდება და ბოლოს მოთხოვნილებად იქცევა; ამ მოთხოვნილების შესაფერი დაკმაყოფილება ესთეტიური საზრდოთი პიროვნებას ისე აღზრდის, რომ ბოლოს მისი: **ყოფაქცევა, ზნეობა, გემოვნება, მიმართულება და მსოფლმხედველობა** ნამდვილი ადამიანური იქნება.

წინა წერილებში უკვე დავინახეთ რომ ესთეტიური მხარე აღზრდისა ოჯახშიც და სკოლაშიც ძლიერ კოჭლობს, და თვით საზოგადოებაშიც ესთეტიური პრინციპი შელახულია. მთელი სფერო: მშობლები, აღმზრდელები, ხელმძღვანელები, მეზობლები და საზოგადოების წრეც მოკლებულია ესთეტიურ ელფერს. საჭიროა რადიკალური გარდაქმნა ცხოვრების პირობებისა, საზოგადო ატმოსფერისა და აღზრდის სისტემისა, რომ აღზრდის მთავარი მიზანი—**კაცის გაადამიანება**—ჩვენში განხორციელდეს და კულტურული განვითარება სწორ გზაზე დადგეს.

როგორ უნდა მოხდეს ეს?

უცებ, ერთი დაკვრით-ეს შეუძლებელია, მაგრამ თანდათანობითი მუშაობით შესაძლებელია.

ჩვენ უნდა გვქონდეს გამოკვლეული ბავშვის ბუნება, უნდა ვიცოდეთ მისი მიდრეკილება, გემოვნება, მიზიდულება და იმის და შესაფერად მოვაწყვეთ მთელი სფერო აღზრდისა. როგორც **სწავლის** მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის გონებრივი განვითარების კანონებს, ისე უნდა შეესაბამოს **აღზრდის** საშუალებები ბავშვის გრძნობისა და ნებისყოფის განვითარების კანონებს.

აი რა საყურადღებო და საგულისხმო გამოკვლევებია ამ დარგში გერმანელი მეცნიერ პედაგოგებისა: მ. ახდინეს დაკვირვება ბავშვებზე სხვა და სხვა ასაკში 5 წლიდან 18 მდი, აჩვენეს ამოსარჩევად და გემოვნების გამოსაჩენად ციფრები, ასოები, შრიფტები, ფერები, ფიგურები, სურათები. ბავშვები იყო ორივე სქესისა, შემდეგ მრავალ ჯერ ახატვინეს, ამღერეს, აგალობეს. ეს გამოცდები ყოფილა ბევრგან და

სხვა და სხვა შემადგენლობაში და შედეგები ასეთია:

5—7 წლ. ციფრები მოსწონებიათ თითქმის ყველას 5., ასოებში H, შრივტი-მორგვალო სახის, ფერებში—წითელი და ყვითელი, ფიგურებს არ არჩევენ, გინდა გრგვალი იყოს, გინდა კუთხეებიანი, სურათებში საგნობრივი ე. ი. როცა ადამიანია გამოხატული, ან ხე, ან სახლი, ან ძროხა და სხვა; ფორმას ე. ი. გარეგნულ სახეს რამდენათ შესაფერად, კარგათ... არის შესრულებული სრულებით ვერ ამჩნევენ.

7—10 ცვლილება შემდეგია: ფერებში მოსწონსთ ლურჯი, ფიგურებში მრგვალი და ოთხკუთხედი, სურათებში შინაარსიანი ე. ი., როცა ადამიანები მუშაობენ, მოგზაურობენ, ხარები უღელში გაბმული რამეს მიეზიდებიან და სხვა ..

10—16 ფერებში უკვე იასფერი, ფიგურებში ხაზებიანიც, სურათებში უკვირდებიან შინაარს, დანიშნულებას და როცა გაიგებენ ამით კმაყოფილდებიან...

აქ საგულისხმოა რომ **ფორმას** არც უკვირდებიან, ვერც იგებენ. .

სქესობრივი განსხვავება გამოჩენილა იმით, რომ ქალები ირჩევენ **ფერებს** და ვაჟები **ფიგურებს.**

შემდეგი დაკვირვებები არის **ხატვასა** და **მუსიკაში..**

6—8 წლ. ხატვის დროს მარტო ნივთსა ხატავენ და შნოსათვის მიხატულ მოწყობილობას (ორნამენტს) არ უკეთებენ.

8—15 წლ.—50%-მა საგანს ორნამენტიც მიახატი.

15—18 წლ —87%-მა მიახატა საგანს ორნამენტიც.

აქ საყურადღებოა რომ ხატვის დროს საგანს ხატავენ და ცდილობენ სურათი საგანს მიამზგავსონ, ფორმას კი ყურადღება არ ექცევა. ცხადია საგნისაგან მხატვრული ე. ი. ფორმის მხრივ გავლენა—ნამდვილი სილამაზის გამოძახილი მერე და მერე ე. ი. 18 წლ. იწყება. ეგევე ითქმის ლექსებზე-შინაარს უკვირდებიან, ითვისებენ და ფორმას კი ვერ ამჩნევენ.... **მუსიკაში.**

6—8 წლ. რითმას (თანასწორ, შეზომილი წყობა ხმებისა) და მელოდიას (კეთილხმოვანება) არ არჩევენ.

8—15—თანდათან არჩევენ.

15—18—თითქმის ყველა არკვევს და ერთს ძეორისაგან არჩევს...

სახეში უნდა მივიღოთ რომ აქ აღებულია საშვალო, ჩვეულებრივი ნიჭის ბავშები, განსაკუთრებული მოწოდების ბავშვები და სუსტი გონებისანი აქ სახეში მისაღები არ არის.

ამგვარი დაკვირვება და გამოკვლევა ბევრია და საჭიროა ყოველთვის გათვალსწინებული იყოს რა განსხვავება აქვს **წლოვანობას, სქესს,** როგორი თანდათანობით ითვისებს ბავში საგნის **ფერს, ფორმას, სურათის** სახესა და შინაარსს, **მუსიკის** რითმასა და მელოდიას...

ამ შემთხვევაში ესთეტიური მასალის საზრდოთ მიწოდება უნდა შეუთანხმოთ პედაგოგიკიდან ნაჩვენებ თანდათანობას და შეფერება შესაბამებას...

ახლა იბადება კითხვა, სად არის სილამაზე, როგორ ვასაზრდოვოთ ბავშვის ესთეტიური მოთხოვნილება, საიდან ამოვკრიბოთ ეს ესთეტიური საზრდო, მასალა, რომელიც დააკმაყოფილებს ბავშვის მოთხოვნილებას, მისცემს მას ზრდას და აიზრდება ესთეტიურად მომზადებული პიროვნება?

სილამაზის წყარო არის **ბუნება და ხელოვნება.** ბუნებაში იმდენი საგანია ლამაზი, იმდენი მომენტია სიმმეტრიულ ჰარმანიული, იმდენი სურათია მომხიბლავი, იმდენი მოვლენაა მშვენიერებით სავსე, იმდენი მხარეა მხატვრულად მორთული, იმდენი ყვავილია კეკლუცათ ჩამოსხმული და საერთოდ იმდენი რამაა მიმზიდველი და გრძნობა-გონება წარმტაცი, რომ ვერც ერთი მასწავლებელი და აღმზრდელი ვერ შეძლებს მის ამოწურვას, მის სავსებით შესწავლა-შეთვისებას და მითი სამუდამოდ დატკბობას.

ბუნება დაუშრეტელი წყაროა სილამაზისა, მაგრამ უნდა ვიცოდეთ მასთან მისვლა, უნდა გვიჭრიდეს თვალი მას დასანახავად, უნდა გვესმოდეს მისი ენა, უნდა გვექნეს შნო ასეთ მასპინძელთან სტუმრობისა, უნდა შეგვწევდეს უნარი ასეთი უხვად მოძღვნილი საუნჯის შეთვისებისა.

აი სწორედ ეს არის მასწავლებლის დანიშნულებაც, რომ მან ბუნების სილამაზე მოწაფეს აჩვენოს და აგრძნობინოს.

ხელოვნება არის დამატება ბუნებისა, რაც ბუნებას აკლია, მას ხელოვნება ასრულებს. დამიანი იდეალისადმი მლტოლველია, მისი მისწრაფება უზენაესია, მისი მოთხოვნილება ბუნების ზღუდესა და სინამდვილის ჩარჩოებში

არ ჩაიტევა, მისი ოცნება-განსახება შეუზღუდავია მისი აღმაფრენის სივრცე გაუზომელია. აი სწორეთ ხელოვნებაც სხვადასხვა დარგში: მუსიკა, ხუროთმოძღვრება, ლიტერატურა, მხატვრობა ქანდაკება... ქმნის ასეთ ფორმებს, სადაც სილამაზეა გამოხატული და ამ ფორმებში უმეტეს შემთხვევაში მაღალი შინაარსიც მთავარსებულია.

ნამდვილი ხელოვნების ნაშთი ყოველთვის ორივე მხრით (ფორმითა და შინაარსით) სრულია და უაღრესი.

აი ხელოვნების დარგით ფართოდ სარგებლობაც მასწავლებლის მოვალეობაა და ესთეტიურ აზრდაში ხელოვნების მნიშვნელობა დიდი და ფრიად ნაყოფიერიც უნდა იქნეს...

ამ ორ უმთავრეს წყაროს შეგვიძლია დაუმატოთ მესამეც, ადამიანის ყოფაქცევა, ნამდვილი, ცოცხალი მოქმედება.

აქაც ბევრი შემთხვევა გვაქვს თვალწინ, რომ მიუთითოთ მოსწავლეს და ნათლად დავანახოთ სილამაზის გამოსახულება და აი ამ სფეროდან ამოღებული მაგალითები უფრო ცხადათაც აღიბეჭდება ბავშის სულიერ ორგანიზაციაში ვინემ ბუნებისა და ხელოვნების სფეროდან ამოღებული კონკრეტიული მომენტი ან შემთხვევა.

ახლა უნდა აღვნიშნოთ კონკრეტიულად, უფრო პრაკტიკულად როგორ ვისარგებლოთ სილამაზის წყაროებით და როგორ გავატაროთ ცხოვრებაში ესთეტიური განვითარება. თვითეულ ზემოაღნიშნულ წყაროს აქვს თავისი ერთგვარი გავლენა და თვითეულ მათგანთან უნდა მივიდეთ გარკვეული, წინასწარ შემუშავებული გეგმით, რომ უფრო ნაყოფიერი იქნეს იქიდან ამოღებული მასალით სარგებლობა. აი ეს იქნება პრაკტიკული მხარე ჩემი წერილებისა, რითაც პირდაპირ უნდა ისარგებლოს ყოველმა აღმზრდელმა, მაგრამ ამის თქმამდი საჭიროა გარკვევით აღვნიშნოთ უმთავრესი აზრი და მიზანი ესთეტიური აღზრდისა, რომ ეს მუდამ თვალწინ ვიქონიოთ და ყოველი ნაბიჯი ამ სფეროში ამ მიზანს დაუკავშიროთ...

ესთეტიური ნიჭის განვითარების მიზანი ის კი არ არის მარტო, რომ ბმვშებს სილამაზე მოვაწონოთ, შევაყვაროთ, ამით ვასიამოვნოთ და დავატკბოთ, არა ეს თავისთავათ უნდა იქნეს და კიდევაც მოხდება, მაგრამ მიზანი უფრო დიდია, მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ სილამაზის დანახვით, მისგან მიღებული სიამოვნებით ბავშვი **ამაღლდეს**, სიმმეტრია—ჰარმონიის შეთვისებით იმდენათ **გაიმსჭვალოს**, რომ უმაღლესი **იდეები** შეითვისოს; ეს არის: იდეა **ჭეშმარიტებისა, მშვენიერებისა და ძეთილისა**. აი ეს არის სწორეთ ის, რითაც ადამიანის გონებაა შემკული, რითაც ადამიანი მეფობს ქვეყანაზე და ბუნებაზე.

ადამიანის ღირსება, სწორეთ ამით გაიზომება; რამდენათაც მას ღრმათ აქვს შეთვისებული ეს იდეები და რამდენათაც ის გულმოდგინეთ ცდილობს ამ იდეათა განკორციელებას, იმდენათ ის უფრო **მაღალი** პიროვნებაა; რამდენათაც ადამიანი ამ იდეათა განხორციელებას შეიძლებს იმდენათ უფრო **კმაყოფილია** ცხოვრებაში და აი ადამიანის **ბედნიერებაც** აქ უნდა ვეძიოთ, ბედნიერების ბუდე აქ არის და არა სხვაგან.

ამგვარად, სილამაზე თავის თავად **მიზანს** კი არ შეადგენს ის მხოლოდ **საშუალებაა** მაღალი მიზნის მისაღწევად.

სილამაზის დანახვა, მითი სიამოვნება და დატკბობა,—გემოვნებას ანვითარებს, მოთხოვნილებას ჰქმნის, ნიადაგს ამზადებს; შემდეგ ადამიანი ითვისებს მაღალ იდეებს და ჰქმნის იდეალს, იჩენს მსოფლ-მხედველობას და იმაგრებს ნებისყოფას, რომ მისწვდეს იდეალს.

ესთეტიკის მიზანია კაცის გაადამიანება, ადამიანის ამაღლება და მისი სრულ, უაღრეს ქმნილებად გადაქმნა. **ესთეტიკა ხიდია ზეცასა და დედამიწის შორის. კაცი დედამიწის სფეროში ტრიალებს და ადამიანი კი ზეციურში.**

თუ ეს ზემოაღნიშნული მიზანი ჩამოვაშორეთ ესთეტიურ განვითარებას, თუ აღზრდაში ესთეტიური ელემენტის გაძლიერებით და გაცხოველებით კაცი არ ავამაღლეთ და უმაღლესი იდეები არ შევათვისეთ—მაშინ სილამაზეზე ლაპარაკი და ყოველგვარი მუშაობა უბრალო დროს ტარება იქნება, თანაც უშინაარსო, უშედეგო, უნაყოფო ხალისი და სიხარული—ამისათვის კი შკოლას არა სცალია და ამისათვის მასწავლებელი და აღმზრდელი საჭირო არ არის, ამას უგნურიც თვითონ მოახერხებს და ეს მხარე თუ არ განვითარდება არც საჭიროა და არც საინტერესო. ამით ვერც ერი და ვერც კაცობრიობა ვერაფერს ვერ მოიმატებს.

ავიღოთ მაგალითები.

ლამაზსა და კოხტად შეკაზმულ ცხენზე რომ ვაჟი შეჯდეს და სიამოვნებით ისეირნოს ამით გონებასა და ზნეობას რამე მოემატება? ლამაზ ქალთან რომ ვაჟმა იმუსაიფოს, ისეირნოს, თუ საუბარი უშინაარსოა, მისი გონება და ზნეობა აიწევს? ლამაზათ მორთულ ოთახში რომ კაცმა იცხოვროს ამით მის მოკალაქობრივ ღირსებას რამე მოემატება? ლამაზი ტანსაცმელი, სახლი, ეტლი, და რაც გარეგნულად კაცს იამება, მოეწონება, გაეხარდება — გგონიათ თავის თავად კაცს რამ არსებითს მიუმატებს? ლამაზ ბუნებაში სეირნი, ბინადრობა, ნადირობა, მუშაობა — გგონიათ კაცს აამაღლებს თავისთავად? კაცმა რომ ხშირად მუსიკა მოისმინოს და იხალისოს, ამით ის განვითარდება? სრულიადაც არა და ათასჯერ არა.

აი ამიტომაა საჭირო ხელმძღვანელი, მასწავლებელი, რომელიც სიამოვნების დროს ჩააკვირვებს, გაარკვევს ყველაფერს, ფორმას შინაარს მისცემს, დამალულ მხარეს ამოაჩენს, უენოს აალაპარაკებს, მკვდარ საგანს გააცოცხლებს და ამგვარად სილამაზესა და მშვენიერებას იდეალთან შეაკავშირებს. სინამდვილეს ოცნება და განსახება ათასნაირად გარდაქმნის და ამით შეუმზადდება ნიადაგი იმ დიადი იდეების შეთვისებას.

ტ. ჯაფარიძე.

(გაგრძელება შემდეგ)

ახალი გზები სწავლა-აღზრდის საქმეში.

(რუსეთის სკოლების დათვალიერების გამო).

1. ძირითადი შენიშვნები.

დაინგრა ძველი საზოგადოება. თან გაყვა მას ძველი სკოლაც. ამ ნანგრევებზე აღმოცენდა ახალი საზოგადოება, საზოგადოება დეკლასიური და მისი მისწრაფების და კულტურის გამომხატველი — ახალი სკოლა შრომაზე აგებული.

ჩვენი სკოლა ვერ ივლის ძველი გზით, ისე, როგორც დღევანდელი საზოგადოება!..

ახალ შინაარსს, ახალი ფორმა სჭირია!..

ჩვენი საზოგადოება ხასიათდება შრომით და კულტურისადმი მისწრაფებით, სკოლაც ასეთივე თვისებებით უნდა ხასიათდებოდეს. ჩვენი საზოგადოება სრულია, იგი ცხოვრების ღვიძლი შვილია, იგი ეყრდნობა კულტურა-მეცნიერებაზე, სკოლაც უნდა იყოს მისი ნამდვილი გამომხატველი.

ერთი მთლიანი შრომის სკოლა, ერთი პედაგოგიკა, ერთი გზა — აი ჩვენი სკოლის ძირითადი თვისებანი.

სწავლა-აღზრდის საქმეში ახალი სკოლა თხოულობს ახალ გზებს.

2. პროლეტარიატი და სკოლა.

დღევანდელი ცხოვრების მესვეური გახლავთ პროლეტარიატი. იგი სოციალიზმის მატარებელია. მარქსალია, მარქსის გამოკვლევით, პროლეტარიატი ინსტიქტიური, ბუნებრივი გზით მიდის სოციალიზმის სამეფოში, მაგრამ ეს გზა იმდენად რთული, მკაცრი და ულმობელი შეიქნა, რომ მას არ შეეძლო ამ მიზნის მისაღწევათ არ მოეშველებია მეცნიერება. არც ერთი საზოგადოებრივი მოვლენა არ ეყრდნობა მეცნიერებაზე ისე ფართოდ, როგორც სოციალიზმი. ფილოსოფია, მეცნიერება, კულტურა პროლეტარიატის დასაყრდნობი ფუძეა. სკოლა, როგორც აკვანი მეცნიერებისა, სანუკვრელი და საზრუნავი საგანია პროლეტარიატისათვის. მას ამ შეუძლია სკოლა ჩასვას ისე ვიწრო ჩარჩოებში, როგორც ამას სჩადიოდა მისი მოწინააღმდეგე კლასები. მეცნიერული და ფილოსოფიური პროლეტარიატის გზა,-მეცნიერული და ფილოსოფიური უნდა იყოს დღევანდელი სკოლის ფუძეც.

დღევანდელი სკოლა, როგორც ძველი, ვერ დაეყრდნობა მარტო პედაგოგიურ და ფსიხოლოგიურ გამოკვლევებზე. საჭიროა მათ მიეშველოს ფიზიოლოგია, სოციოლოგია, მედიცინა, ე. ი. მთელი ანტროპოლოგია. ასე საკითხის დასმა იქნება მეცნიერული, მაგრამ რთული, ისე როგორც პროლეტარიატის გზა გახლავთ რთული და მეცნიერული, მაგრამ გარკვეული და ურყევი.

3. პრაქტიკული მხარე.

საკითხი ახალი სკოლის შესახებ არა ახალია — ძველია, ისევე ძველი, როგორც საკითხი

სოციალიზმის შესახებ. მაგრამ რამდენად ახალი სკოლის პრინციპები ჭარდება ცხოვრებაში, იმდენად ეს საკითხი ახალია.

სხვაა თეორია, სხვაა პრაქტიკა.

სიძნელე ამ საკითხისა მოითხოვს მის დაკვირვებით და მეცნიერულად შესწავლას. საჭიროა ამ შემთხვევაში იქნას და კული სიდინჯე და ევოლიუციონური, თანდათანობითი განვითარების პრინციპი.

4. ობიექტიური და სუბიექტიური პირობები.

შედარებითი სიმშვიდე და სიწყნარე, ჩვენი მხარის ეკონომიურად მოლონიერება, საზოგადოების ბუნებრივი ლტოლვა კულტურისადმი, ფართო მიზნები და ფართო ასპარეზი კულტურულ სფეროში—სერიოზული მოტივებია, რომ ახალმა სკოლის პრინციპებმა მიიღოს პრაქტიკული განსახიერება.

ახალი სკოლა მოითხოვს ძალიან ბევრ დიდაქტიურ მასალას და დახელოვნებულ ხელმძღვანელებს. ამ მხრივ იგი უნდა წააგავდეს თანამედროვე ფაბრიკა-ქარხანას თავისი უზარმაზარი მანქანებით და საწყობებით. ჯერჯერობით ამის სავსებით გატარება ცხოვრებაში წელში გატეხავდა ჩვენ ნორჩ რესპუბლიკას. თავს რომ ძალა დავატანოთ და ეკონომიურათ შევსძლოთ სკოლის მოწყობა თანამედროვე პედაგოგიური პრინციპების მიხედვით, დღევანდელი მასწავლებლობა მაინც ვერ შესძლებდა მის ცხოვრებაში გატარებას. დღევანდელი მასწავლებლობა საჭიროებს სერიოზულ გარდაქმნას, პედაგოგიურად ხელახლა შვებას. ახალ საქმეს ახალი ხალხი ესაჭიროება!..

ძველი უარვყავით, ახლის გატარება სავსებით შეუძლებელი ხდება მრავალი საპატიო მიზეზებთა გამო. მაშ რა უნდა ვქნათ?

შეზავება ძველის და ახალის, მათ შორის სერიოზული სინტეზის გამონახვა, თანდათანობითი შეცვლა ძველის ახლით, ევოლიუციონური გზით სიარული—აი გამოსავალი გზა!..

ახალი სკოლის მოწყობა არ არის ერთი ან ორი წლის საქმე. იგი ათეული წლების საქმეა. ამ პერიოდში უნდა ახალი შევითვისოთ ისე, რომ ძველი არ დავივიწყოთ. ძველმა პოზიცია უნდა დაუთმოს ახალს ისე, რომ ამ გარდამავალმა ხანამ არევ დარევა და გაუგებრობა არ შეიტანოს მეტად რთულ და ნაზ პედაგოგიურ სფეროში.

5. ახალი პრინციპები.

ახალი პედაგოგიური პრინციპი თავის სამოქმედო ასპარეზს არ საზღვრავს, როგორც წინად, სასკოლო ასაკით 7 წლით. იგი შორს მიდის და საზღვარს ავლებს ბავშვებს სამი წლის ზევით.

ახალი საზღვარი სრულიად არ არის შესწავლილი. იგი მოითხოვს ახალ ექსპერიმენტებს, ახალ შესწავლას. აქ ისეთი ორგანიზაციაა საჭირო, ისეთი დიდაქტიური მასალა და მეთოდიური ხერხებია სახმარი, რომელთაც წინათ ადგილი არ ჰქონია. მთელი ინიციატივა ცოდნის შეძენაში ეკუთვნის თვით ბავშვს. კონტროლს ბავშვი თვითონვე უწევს თავის თავს. მასწავლებელს ეკუთვნის მხოლოდ დახელოვნებული მესაჭეს როლი. მეტად საგულისხმოა ბავშვთა ეს ხანა, მისი კარგათ შესწავლა, შესაფერი პსიხოლოგიური და მეთოდიური დასკვნების ვამოტანა ფუძეთ უდევს მთელ პედაგოგიურ მოღვაწეობას. თუ ეს ხანა კარგად შესწავლილია, შესწავლილი იქნება ზედა ფენებიც. ამიტომ ჩვენთვის სავალდებულოა განსაკუთრებული ყურადღებით იქნას შესწავლილი ეს ხანა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, ზედაფენებში მოღვაწეთ, სრულიად არ გვექნება საქმე ამ ასაკის ბავშვებთან.

6. ფსიხოლოგიური მომენტი.

სკოლა წარმოდგენილი გვაქვს ისეთ ორგანიზაციად, სადაც ბავშვი იძენს ცოდნას. მთავარი საზრუნავი ობიექტი აქ უნდა იყოს ბავშვი. უნდა კარგათ იყოს შესწავლილი ის გზები, რა გზებითაც ბავშვი იძენს ცოდნას. ცნობილი და დამტკიცებულია, რომ ის ცოდნაა საღი და ხანგრძლივი, რომლის შეთვისებაში ღებულობდა მონაწილეობას ბავშვის ყველა გრძნობები. ცოდნის შეძენა წარმოუდგენელია გრძნობათა გარეშე. მაშასადამე, პირველი საზრუნავი საქმე ყოფილა არა ის, თუ რა ცოდნა ან როგორი გზით მივაწოდოთ ბავშვს, არამედ გრძნობათა განვითარება.

გრძნობათა განვითარება ხდება მეთოდიური გზით. ისეთი დიდაქტიური მასალაა ხმარებაში, სადაც ბავშვი გადაჭარბებული გულმოდგინებით მუშაობს და თვითონვე უწევს კონტროლს თავის თავს. გზა და გზა ბავშვი იძენს ცოდნას იმავე გზით და საშუალებით, რანაი-

რადაც მიმდინარეობს მისი გრძნობათა განვითარება.

ასეთი პრინციპი ანვითარებს ბავშვებში დაკვირვებას, შთაბეჭდილებას და გამოხატულებას. ეს სამი მომენტი ისეა გადაჯაჭვული ერთი მეორეზე, რომ მათი დაშლა ხელოვნურადაც შეუძლებელია. თუ ცოდნის შეძენის დროს ეს სამი მომენტი დაცულია, მაშინ დაცულია ის უდაო დებულებაც, რომ ბავშვმა ცოდნის შეძენისას უნდა ისარგებლოს მისი ყველა გრძნობებით.

7. საკითხის სიძნელე და სირთულე.

მეტად მძიმე და მწვავე შეიქნა თანამედროვე პედაგოგიური სისტემების ცხოვრებაში გატარება. ხალხური ბრძნული თქმულება— „ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერიო“ — სწორეთ აქაა მისაღები და მტკიცე დასაცავი.

ამიტომ სანამ რომელიმე პედაგოგიურ გზას დაადგებოდენ, თანამედროვე პედაგოგიურ სისტემებს ექსპერიმენტების და ცდების ქვაბში ხარშავენ. ეს პროცესი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული რუსეთის მასშტაბში. ამ დიდი მუშაობის გარეშე მაყურებლად ჩვენ ვერ დავრჩებით. ჩვენც უნდა მივიღოთ რაიმე მონაწილეობა ამ ტიტანიურ პედაგოგიურ მუშაობაში.

რასაკვირველია ჩვენშიაც არის ამ მხრივ გადადგმული შესაფერისი ნაბიჯები. ასეთ ერთ ნაბიჯათ მე ვსთვლი მასწავლებელთა რუსეთში გაგზავნას იქაური სკოლების დასათვალიერებლად და სწავლა-აღზრდის საქმეში ახალი გზების შესასწავლად.

8. მასწავლებელთა რუსეთში გაგზავნა.

ჩვენი სკოლების ცხოვრებაში ამ უკანასკნელად იქნა გადადგმული ძეტად სიმპატიური და მიზანშეწონილი ნაბიჯები. მე მხედველობაში მაქვს მასწავლებელთა გამგზავრება მოსკოვ-პეტროგრადში იქაური სკოლების დასათვარიელებლათ და სწავლა-აღზრდის საქმეში ახალი გზების გასაცნობად.

თავის თავად ეს ამბავი არ არის მაინც და მაინც დიდი ყურადღების ღირსი, მაგრამ რამდენათ ამ ამბავში ჩაქსოვილია ახალი ცხოვრების და ახალი სკოლის მიზნები, იმდენათ იგი მართლაც რომ ღირსია კეთილი მოგონებისა და დიდი ყურადღების.

სწავლა-აღზრდის საქმე—მეტად რთული და ნაზი საქმეა. აქ სიჩქარე და ფანატიკოსობა დაუშვებელია. უფრო მეტ ზიანს მოუტანს იგი საქმეს. თანდათანობითი განვითარების, ევოლიუციონური გზა, მტკიცე, მაგარი და ურყევი ნაბიჯები, მოქმედება ადგილობრივ ობიექტიურ პირობებიდან გამომდინარე — აი საკითხის სისწორით დასმა. სწორეთ დასმული საკითხი კი უდრის მის ნახევრათ სისწორით გადაჭრას.

მასწავლებელთა რუსეთში გამგზავრება ამ დიდი საკითხის ერთი დიდი მხარეთაგანია.

მართლაც და მასწავლებლობა მოსკოვ-პეტროგრადში გაეცნობა სკოლებს, რამდენათ გატარებულია ცხოვრებაში თანამედროვე პედაგოგიკის ახალი გზები, რა მიზნები აქვს დასახული სწავლა-აღზრდის ახალ საქმეს, მის იდეურ და პრაქტიკულ მხარეებს.

ამ ცოდნით აღჭურვილი, იგი დაბრუნდება ავის ადგილს, შეუფარდებს ამ ცოდნას ადგილობრივ ობიექტიურ პირობებს და შეეცდება მის პრაქტიკულად ცხოვრებაში გატარება.

(გაგრძელება იქნება)

ნო—ვა.

„მოქვარეს პირში უძრახვენ, მტერს პირს უპანა.“

სკოლის ცხოვრებაში სრულდება ის, რასაც ყოველი კეთილ-სინდისიერი მასწავლებელი მოუთმენლად მოელოდა. უკვე გადადგმული ნაბიჯები ამტკიცებენ, რომ ახალ სკოლაში აწ ადგილი აღარ ექნება ისეთ რამეებს, რაც მსოფლიო ომის შემდეგ და, განსაკუთრებით, რევოლიუციის პირველ ხანებში ხდებოდა. თავისუფლება ისე გაიგო ზოგიერთმა მასწავლებელმა, რომ ყოველივე მოვალეობიდან „თავისუფალი“ გახდა. მეტად შესანიშნავი იყო ამ მხრით სოფელი. იქ რევოლიუციის შემდეგ თითქმის არაფერი არ კეთდებოდა. მასწავლებელი იმუშავებდა 11 საათამდის თავის ადგილ-მამულში, შემდეგ დაღლილ-დაქანცული წავიდოდა სკოლაში, „წაიმაცადინებდა“ ცოტას და ისევ უბრუნდებოდა ყანა-ბოსტანს. თუ მო-

ესურვებოდა, სულ არ წავიდოდა სკოლაში. ზოგიერთი მასწავლებელი (მეტად ქალები) სოფლად სამსახურში ითვლებოდენ და აქ (ქალაქში) კი მთელი თვეობით დასეირნობდენ. ან კიდევ ასეთი რამ:

მასწავლებელი სადმე ლხინში დაპატიჟეს (მოგეხსენებათ ასეთები ხშირია სოფლად!), იქ ორი დღე გაატარა, მესამე დღეს გამოეფხიზლებას მოუნდა და ამ ხნის განმავლობაში სკოლის კარები გამოკეტილია, მაგრამ, ვაი, რომ მაგრად ვერ არის გამოკეტილი და თავისუფლად დასეირნობენ შიგ სხვა და სხვა ცხოველები. არავინ და არაფერი არ იყო სოფლად ისე აგდებული, როგორც სახალხო მასწავლებელი და „მისი“ სკოლა, და ამაში ხშირად თვითონ მასწავლებელი იყო დამნაშავე. ზოგიერთები, ისეაც ნაკლები ცოდნის პატრონი იყვნენ და სრულებით რომ აღარ კიდებდენ ხელს თვითგანვითარებას, თანდათან უჭლუნგდებოდათ გონება და ხდებოდენ აბუჩად ასაგდებად. რევოლიუციის პირველ ხანებში სკოლები აივსო ისეთი მასწავლებლებით, რომ ცოტათ თუ ბევრად შეგნებულ მასწავლებლებს სცხვენოდათ, რომ ისინიც მასწავლებლის სახელს ატარებდენ. თავმოყვარეობა გელახებოდა, როდესაც გაიგონებდი ასეთ რასმეს: „თუ სხვათ არაფრათ ივარგებს ის ადამიანი მასწავლებლად მაინც გამოდგებაო“. ილლიუსტრაციისთვის მოვიყვან ერთ მაგალითს. იმ ხანებში აქ, ქუთაისში, მღვდ. კელენჯერიძეს სამოსწავლო კურსები ჰქონდა, სადაც მსმენელებად ღებულობდენ 2 კლ. კურსს დამთავრებულსაც. რამდენიმე თვის შემდეგ ამ კურსებმა გამოუშვა მთელი რიგი მასწავლებლებისა, რომელთაგან ზოგი ქალაქებშიაც (?) კი მოხვდა სამსახურში.

საბედნიეროდ, სკოლა ნელ-ნელა იწმინდებოდა ასეთ მასწავლებლებიდან, რაც ყოველ შეგნებულს და პატიოსან მასწავლებელს სასიამოვნოდ უნდა დაურჩეს. ახალი სკოლა ისეთ მზრუნველებს უყენებს მასწავლებელს, რომ ან უნდა გახდეს ის **ნამდვილი** მასწავლებელი, ან უნდა მოშორდეს სკოლას. ისა სჯობია ერთი მასწავლებელი შეეწიროს სამოც ბავშს, ვიდრე სიმოცი ბავში—ერთ მასწავლებელს! ამდენხანს სკოლაში სხვათაშორის მუშაობდენ და პირს აძებდენ იმას, რომ მატერიალურად უზრუნველყოფილი არ ვიყავით. ახლა ამ სენსაც წამალი ეძებნა. მაშ, ამხანაგებო, ძველი სიზარმაცე—დაუდევრობა გავატანოთ ძველ სკოლას და განახლებული შევიდეთ ახალ სკოლაში.

ნინო ნადირაძე.

გრაფიული ხელოვნება.

ჩემი სამოსწავლო ასპარეზზე გამოსვლის დღიდან მე მუდამ მიტაცებდა ყოველი ახალი მიმართულება სამხატვრო საქმეში, სადაც წინანდელი გეომეტრიული მეთოდი ახლა შეცვალა ბუნებრივმა მეთოდმა და მით საქმე სულ სხვა გვარათ შემოაბრუნა. ამ მეთოდმა ხატვის გაკვეთილები საგრძნობლათ მიმზიდველი გახადა და მით მასწავლებლის შრომამ მეტი ნაყოფი გამოიღო. ამჟამათ ამ დარგში ახალმა ნაკადმა იჩინა თავი, რომელიც მიმართულია ჩვენი ეროვნული დამხმარე ხელოვნების განვითარებისაკენ.

მე დიდი სურვილი მქონდა ამ დარგში რაც შეიძლება მეტად დავხელოვნებულიყავი. ამისათვის არ უშვებდი არც ერთ შემთხვევას, რომელსაც შეეძლო ჩემთვის დახმარება გაეწია ამ მიზნის მისაღწევად.

18 წლის პრაკტიკამ სრულიად დამარწმუნა, რომ ხატვა-ხაზვა და ხელგარჯილობა ადვილი მოსაწყობია თითქმის ყველა სასწავლებელში, თუ მასწავლებელი ოდნავ დახელოვნებულია ამ დარგში და ენერგიულათ მოკიდებს საქმეს ხელს.

ახალი ტიპის სკოლებში ოთხწლედიანიდან დაწყებული ცხრაწლედიანამდის ხატვა-ხაზვა და ხელგარჯილობა (ძერწვა და ხეზე მუშაობა) უნდა ისწავლებოდეს შემდეგი პროგრამით:

პირველი სამოსწავლო წელი:

1. ხელისა და თითების ვარჯიშობა, სწორი მრგვალი ხაზები უფარგლოთ და სახაზავის დაუხმარებლათ; 2. **მოგონებითი ხატვა** ბავშვებისათვის საყურადღებო უბრალო-მარტივი საგნების ფორმისა და მიხაზულობის. 3. **შთაბეჭდილებითი ხატვა** ავეჯეულობისა ჭურჭლეულობისა და სხვა საგნებისა; 4. **ძერწვა მრგვალი** და ოთხკუთხი საგნებისა და მათი პირდაპირი დაკვირვებით. 5. **დასურათებითი ხატვა**

იგავ-არაკებისა, მაგალითად „ყვავი და კოკა“ და სხვა.

მეოთხე წელი.

თავისუფალი ხატვა და ძერწვა უფრო რთული ფორმისა და მიხაზულობის **საგნებისა**; ხილეულობის, ბოსტნეულობის და სხვა უფრო რთული მიხაზულობის **ფორმებისა**; უფრო რთული ფორმების გამოხატვა მათი **პირდაპირი** დაკვირვებით; დასურათება იგავ-არაკებისა „ღორი მუხის ქვეშ“ და სხვა ასეთი უბრალო სცენებისა.

მესამე წელი.

მოგონებითი ხატვა ისეთი საგნებისა, რომლებიდანაც აწარმოებენ პირდაპირ ხატვას; შემოქმედებითი ხატვა გაზაფხულისა და ზაფხულისა (სამუშაო იარაღებით), ხატვა არშიებისა და სხვა.

ძერწვა მისი დაკავშირება ბუნების მეტყველებისა და გეოგრაფიის ელემენტარულ კურსთან; პირდაპირი ხატვა მარტივი ფორმის საგნებისა; დასურათება რომელიმე გავლილი ლექსისა და მოთხრობისა შეძლების დაგვარათ; **ხეზე მუშაობა**: გაცნობა სამუშაო იარაღებისა, ხერხვა, გასალაშინება, დახაზვა ფიცრისა რესმუსის საშვალებით, მასალის დამზადება უბრალო საგნების გასაკეთებლათ (სახაზავი, ჩარჩო, ტაბურეტკა და სხვა).

მეოთხე წელი.

მოგონებითი ხატვა ისეთი საგნებისა, რომლებიდანაც აწარმოებენ პირდაპირ ხატვას; შთაბეჭდილებითი ხატვა არშიებისა და სახეებისა, შემოდგომისა და ზამთრისა, (შესაფერი სამუშაო იარაღებითი). ძერწვა უფრო ფართო ზომით. ხმარება ძერწვისა სხვა და სხვა საგნებთან დაკავშირებულათ და დასახმარებლათ; ხელევნური საგნების კეთება.

პირდაპირი ხატვა უფრო რთული ფორმებისა: **დასურათებითი** ხატვა მასწავლებლის მიერ მიცემულ თემაზე,—თავისუფალი ხატვა. **ელემენტარული ხაზვა და პერსპექტივა.** სახაზავი იარაღების გაცნობა და ხაზებზე ვარჯიშობა, ჩვენება პერსპექტიული მოვლენების ბუნების მიხედვით, და მათზე წარმოდგენა ხატვაშა-

ხეზე მუშაობა. უფრო რთული საგნების კეთება; ყუთი, მაგიდა, საწიგნე (ეტაჟერკა) და სხვა; გადაეცემა მხატრული მხარეებისა, ხეზე ამოჭრა ორნამენტებისა, ქართული წნულების და სხვა მხატრული სახეებისა.

მეხუთე წელი.

ხაზების გაცნობა და მათ შესწავლაში ვარჯიშობა; ხაზების, კუთხეების და სიბრტყეების გეომეტრიული ფიგურების თვალსაჩინოთ გაცნობა (ოთხკუთხედი, კვადრატი, სამკუთხედი, წრე, ოვალი).

პირდაპირი ხატვა (ფერადი ფანქრებით ან წყლის ფერადებით) ოჯახში მოსახმარებელი ნივთებისა; სახაზავი, ბალალაიკა, ბორბალი, კვერცხი, ბოქლომი და სხვა. უბრალო მოხაზულობის ფოთლების ხატვა: თავისუფალი ხატვა—ილიუსტრაცია გავლილი მასალიდან.

მეექვსე წელი.

თვალსაჩინო გაცნობა გეომეტრიული სხეულებისა (შარი, ცილინდრი, კონუსი). ამათი სებური ფიგურების ხატვა, მაგალითად: ბურთი, ვედრა, ზარა და სხვა.

პირდაპირი ხატვა შთაბეჭდილებათა მიხედვით ფანქარით და ფერადებით იმ ფიგურებისა, რომლებიც თავის მიხაზულობით გეომეტრიულ ფიგურებს წააგავენ; ბოსტნეულობა, ხილეულობა და სხვა თვალსაჩინო პერსპექტივის ახსნით. ხატვა მცენარის ტანისა,—ფოთლებიან. უბრალო ფორმის და შედგენა უბრალო მარტივი ორნამენტისა.

ილიუსტრაცია გავლილი მასალიდან სხვა და სხვა საგნების (თავისუფ. თემაზე).

მეშვიდე წელი.

თვალსაჩინო შესწავლა გეომეტრიული სხეულების მოხაზულობისა (კუბი, პრიზმა, პირამიდა), გავლილი მასალის შეკავშირება.

პირდაპირი ხატვა შთაბეჭდილებითი (ფანქარით და წყლის ფერადებით) იმ საგნებისა, რომლებიც თავის მოხაზულობით უახლოვდებიან გეომეტრიულ ფიგურებს თვალსაჩინო პერსპექტივის ახსნით.

პირდაპირი ხატვა ბოსტნეულობისა, ხილეულობისა და ყვავილებისა (ნამდვილი ან ხელოვნური). დეკორატიული ხასიათის სურათების შედგენა (სტილიზაცია—როზეტკა და სხვა). წყლის ფერადებით (სასურველია მარტო კისტით). ილიუსტრაცია თავისუფალ თემაზე.

ვ 20 ქო
1923

მ ე რ ვ ე წ ე ლ ი.

პირდაპირი ხატვა (ფერადებით — ფანქარით, რასტუშით) უფრო რთული მოხაზულობის საგნებისა თვალსაჩინო პერსპექტივის ახსნით.

პირდაპირი ხატვა ფერადებით ბოსტნეულობისა, ხილეულობისა, ყვავილების და მწერებისა.

ხატვა ფრინველებისა, ცხოველებისა ჩუჩელებიდან ერთი ფერით.

ხატვა მარტივი გიპსის ორნამენტიდან და შედგენა დეკორაციისა (რთული კომა, კუთხეების უზორების და სხვა).

ამ პროგრამის უკეთესათ შესრულებისათვის საჭიროა ყველა კლასებისათვის დათვალიერება და დაკვირება ღირსშესანიშნავი სურათებისა, თუ კი ასეთები მოიპოვება, ახლო ექსკურსიების მოწყობა ბუნების დასათვალიერებლათ, მისი მხატრული სახის შესასწავლათ და მის სილამაზის მისაწდომათ.

ქროექტი და სამუშაო გეგმა ხელგარჯილობის კურსებისა მთლიანი შრომის სკოლის მასწავლებელთათვის.

მთლიანი შრომის სკოლაში შრომის სახით უნდა სწარმოებდეს ხელგარჯილობა, რომელიც შესდგება შემდეგი ნაწილებისაგან: 1, ხეზე მუშაობა, 2, ძერწვა, 3, კარტონზე მუშაობა და 4, კალათების წვნა.

მიზანი და მნიშვნელობა.

ხეზე ამოჭრის სწავლება, თუ იგი პედაგოგიურათ სწარმოებს, ემსახურება უმთავრესათ მოწაფეთა ესთეთიურათ განმავითარებელ მიზნებს; ხეზე ამოჭრა მხატრული ფორმებისა ანვითარებს სიყვარულს ლამაზი ფორმებისადმი, ხდის სილამაზეს უმეტესათ თვალსაჩინოთ და საგრძნობლათ; ხეზე მხატრული ფორმების ამოჭრის დროს უნდა დაუკვირდეთ საგნების იმ მხარეებს, რომლებიც ახდენენ გრძნობებზე მომხიბლავ შთაბეჭდილებას. მუშაობის დროს მხედველობითი შთაბეჭდილებას უერთდება შთაბეჭდილება კუნთების გრძნობისა, რითაც მიიღება უფრო ნამდვილი წარმოდგენა საგნებისა და მათი ფორმების სილამაზის.

გარდა ამისა ხეზე ამოჭრას, როგორც ხელგარჯილობას აღზრდითი მნიშვნელობა აქვს სკოლაში; ის ანვითარებს ყურადღებას, დაკვირვებას, მოთმინებას, წესიერებას და საზოგადოდ დადებითად ანვითარებს დისციპლინას სკოლაში.

გრაფიულ ხელოვნებათა შორის ნებისყოფისა და ხასიათის გამაგრებისათვის გაკეთილშობილებისთვის საერთოდ დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ძერწვას და ხატვა ხაზვას, აგრეთვე მხატრული ფორმების ამოჭრას ხეზე. შრომის სკოლაში ხელგარჯილობა უნდა სწარმოებდეს შემდეგი გეგმით:

ხეზე მუშაობა და დამზადება სხვა და სხვა სასწავლო, სასარგებლო ნივთებისა; გაცნობა ხეების ჯიშისა, რაც სახელოსნოში (სადურგლოში) იმმარება; გაცნობა სამუშაო იარაღებისა; ხერხვა — გასალაშინება, ფიცრების დახაზვა დამზადება მასალის უბრალო საგნების გასაკეთებლათ, მაგალითად: სახაზავი, ჩარჩო, ტაბურეტკა და სხვა; ფურფუშალის დამზადება კალათების საწნავათ.

ძერწვა და დამზადება თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყობისა, წარმოდგენა ფორმაზე, ფორმის შესწავლა; გეომეტრიული სხეულების დამზადება; დამზადება გეოგრაფიული ხელსაწყობის დედამიწის ზედა პირის შესასწავლათ; დამზადება ხელსაწყობის ბუნების მეტყველების შესასწავლათ, ანატომიურ პრეპარატების დამზადება და სხვა.

კარტონზე მუშაობა, დამზადება გეომეტრიული სხეულებისა; აპლიკაცია (ფერადი ქაღალდის გამოჭრა სურათების კონტუსის მიხედვით და ამ ნაჭრებიდან სურათების შედგენა). კალათებისა და სხვა და სხვა ნივთების წვნა საწნავ მასალიდან; დამზადება ფურფუშალისა და სხვა საწნავ მასალისა.

ხელგარჯილობის წესიერათ დასაყენებლათ თვითეულ სკოლაში საჭიროა სახელოსნო ავეჯით, იარაღებით და მასალით მოწყობილი.

იასონ გელაზანია.

სარედაქციო კოლეგია.

ნება დართულია მთავსამლიტგამის ქუთ. განყოფ. მიერ. №